ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 86

"29" დეკემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ. 204395537) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 დეკემბრის №21.1715.1917 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე განკარგულების დანართი №2-ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

N	დასახელება	ზ/ერთ	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საწყისი ღირებულება (ჯამში)	ნარჩენი ღირებულება (ჯამში)	შენიშვნა
ა(ა)იპ ქ. თბილისის N13 საბავშვო ბაგა-ბაღი							
1	გაზქურა კომბინირებული	ცალი	1	899	899	120,66	
2	გაზქურა 4 კამფორიანი	ცალი	1	1100	1100	288,36	
ა(ა)იპ ქ. თბილისის N47 საბავშვო ბაგა-ბაღი							
3	სამზარეულოს ელექტრო ქურა 6 კამფორიანი 2 ელექტრო ღუმელით	ცალი	1	8800	8800	1402,57	
4	სამეთვალყურეო კამერა (კარადით)	ცალი	7	448,9	3142,42	1222,78	
ა(ა)იპ ქ. თბილისის N43 საბავშვო ბაგა-ბაღი							
5	ელექტრო ღუმელი 4 კამფორიანი	ცალი	1	3300	3300	1081.34	
6	ტელევიზორი საკიდით	ცალი	6	349	2094	439,14	
7	ტელევიზორი	ცალი	4	448.5	1794	398	
8	გაზქურა კომბინირებული	ცალი	1	480	480	100,66	
9	8 არხიანი ქსელური მოწყობილობა მყარი დისკით	ცალი	1	590,62	590,62	193,33	
10	16 არხიანი ქსელური მოწყობილობა მყარი დისკით	ცალი	1	1364.85	1364.85	447.23	
11	გარე და შიდა გამოყენების კამერები	ცალი	19	182.46	3466.8	1135.99	
12	უწყვეტი კვების წყარო	ცალი	1	182.25	182.25	59.71	
13	კამერა ანალოგიკური	ცალი	13	52.8	686.4	115.16	
14	კედლის კარადა ვიდეოთვალის	ცალი	1	236.25	236.25	61.93	
15	ციფრული ვიდეოჩამწერი	ცალი	1	271.2	271.2	45.5	
16	აკუმულატორი ვიდეოკამერის	ცალი	2	57,50	115	30,15	
17	მონიტორი	ცალი	1	200	200	65.53	
18	ცომსაზელი	ცალი	1	1910	1910	977.92	
19	DVD	ცალი	10	65	650	136.31	
20	საქვაბის წყლის დანადგარი	ცალი	1				

დანართი №2

ხელშეკრულება

მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი -------- წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“), მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) წარმოდგენილი [●] მიერ - პ/ნ [●] და

მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (ს/ნ: 204395537) (შემდგომში „ქონების შემძენი“), მისამართი: ქალაქ თბილისი, ერეკლე II მოედანი, №1) წარმოდგენილი [●] მიერ - პ/ნ [●]

ვდებთ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“).

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ამ ხელშეკრულებით, სააგენტო ქონების შემძენს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობით, საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოძრავ ქონებას (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“).

მუხლი 2. ნასყიდობის საფასური, მისი გადახდის წესი და საპრივატიზებო პირობები

2.1 პრივატიზების საგნის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ფასი 1 (ერთი) ლარი;

2.2 საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

2.3 საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინო კოდი: 300773380

(დანიშნულება: სხვა არაკლასიფიცირებული მატერიალური მარაგების გაყიდვა)

2.4. ქონების შემძენმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული მოძრავი ქონების შესაბამისი ტერიტორიიდან გატანა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 3. პირგასამტეხლო

3.1. საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი) გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე ან/და სააგენტოს მიერ ხელშეკრულების 3.5 პუნქტის მიხედვით ცალმხრივად შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

3.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

3.3 ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება პირგასამტეხლო 50 ლარის ოდენობით, დარღვევის გამოსწორებისთვის მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, „ქონების შემძენს" არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დამატებითი ვადის განმავლობაში შეუსრულებლობა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

მუხლი 4. საკუთრების უფლების გადაცემა

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოძრავი ქონება, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცემა საპრივატიზებო საფასურის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ.

მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

5.1 მხარეებმა განაცხადეს, რომ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული მოძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის. ქონების შემძენმა მოიწონა მოძრავი ქონების ხარისხი და ნივთობრივი მდგომარეობა.

5.2 სააგენტო იღებს ვალდებულებას: ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის დადასტურების შემდგომ, ნასყიდობის საგანზე ქონების შემძენს დაუდასტუროს საკუთრების უფლება, შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემის გზით№

5.3 ქონების შემძენი ვალდებულია:

5.1.1 პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და საპრივატიზებო პირობები.

5.1.2 ვალდებულებების შესრულების პერიოდში სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და წესით წარუდგინოს ინფორმაცია პირობებისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

5.1.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (ვალდებულებათა შესრულების პერიოდში) ქონების შემძენის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ნასყიდობის ხელშეკრულები№

5.1.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება სააგენტოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

5.4 საჭიროების .შემთხვევაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება სააგენტოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

6.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, ცალკე ხელშეკრულების გაფორმები№

6.3 ამ ხელშეკრულების თითოეული გვერდი საჭიროებს მხარეთა ხელმოწერას.

6.4 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

6.5 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესი№

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია